ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე - კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ე. ა.

წარმომადგენელი - მ. ნ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 05.10.2018

საჩივრის რეგისტრაციის: №142/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ დ. თ.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ დ. თ.-ისათვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 05 ოქტომბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ე. ა.-მ და მოითხოვა ადვოკატ დ. თ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2018 წლის 26 ოქტომბერს საჩივრის ავტორმა წარმომადგენელთან, მ. ნ.-სთან ერთად მონაწილეობა მიიღო საპროცესო კოლეგიის სხდომაში.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2013 წლის 01 მაისს კომერციული საქმიანობის წამოწყების მიზნით, მოქალაქე ბ. ს.-სგან აიღო სესხი 10 000 აშშ დოლარი, ხოლო ნ. პ.-სგან 50 000 აშშ დოლარი, სესხის ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა მის სახელზე რიცხული უძრავი ქონება. ე. ა.-ს განცხადებით, 2014 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, სესხის დასაფარად გადახდილი ჰქონდა 18 000 აშშ დოლარი, თუმცა ამ პერიოდში შეექმნა

მატერიალური პრობლემები, რასაც დაემატა ავადმყოფობა და მოუწია სამკურნალოდ რუსეთში გამგზავრება. კრედიტორები დაემუქრნენ, იმ შემთხვევაში თუ სესხის დაბრუნებას პრობლემები შეექმნეობდა აუქციონზე გაიტანდნენ უზრუნველყოფილ ქონებას და შესთავაზეს ნასყიდობის ხელშეკრულების დადება, 3 თვის გამოსყიდვის უფლებით. ამასთან განუმარტეს, რომ როდესაც ექნებოდა თანხა შეეძლო გადაეხადა გადაუხდელი პროცენტები, სესხის ძირითადი თანხა და სახლს უკან გადაუფორმებდნენ. აღნიშნულ პირობებზე ე. ა. დათანხმდა. საჩივრის ავტორმა 2014 წლის 23 აპრილს იპოთეკარებთან გააფორმა სახლის ნასყიდობის ხელშეკრულება 3 თვიანი გამოსყიდვის უფლებით. ძირითადი სესხი და მასზე დარიცხული პროცენტები განისაზღვრა 85 900 აშშ დოლარით, რაც მიეთითა ნასყიდობის ხელშეკრულებაში გამოსყიდვის თანხად. საჩივრის ავტორის განმარტებით, გამოსყიდვის ვადის (14 თვის) ვადის გასვლის მიუხედავად იპოთეკარ ბ. ს.-ს გადაუხადა პროცენტები, ძირითადი თანხა და სახლის ნახევარი საკუთრებაში გადაეცა. ხოლო, იპოთეკარმა ნ. პ.-მ სარჩელი შეიტანა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით და მოითხოვა გაცემული სესხის ოდენობის შესაბამისად განსაზღვრულიყო სახოვრებელი სახლის წილი, რის გამოც 2015 წელს, ე. ა. იძულებული გახდა მოეძია და ახლო ნათესავის რეკომენდაციით საქმეში ჩაერთო ადვოკატი დ. თ..

1.3 2018 წლის 26 ოქტომბერს, საპროცესო სხდომაზე, ე. ა.-ს მიმართ საპროცესო კოლეგიის წევრის დასმულ შეკითხვაზე თუ რა მიზნით მიმართა მან ადვოკატს, საჩივრის ავტორმა განუმარტა, რომ მას სურდა ბინის ნახევრის დაბრუნება. ადვოკატმა დ. თ.-მ კი აუხსნა, რომ რამდენ სარჩელზეც დასჭირდებოდა შესაგებლის წარდგენა და საქმის წარმოება, თითოეული საქმისთვის უნდა გადაეხადა 500 აშშ დოლარი.

1.4 ე. ა.-ს განმარტებით, ადვოკატ დ. თ.-ს ეტაპობრივად გადაუხადა 1 700 აშშ დოლარი, თუმცა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება არ გაუფორმებია. ამასთან, სანამ ადვოკატს 200-300 აშშ დოლარს არ გადაუხდიდა მანამდე არ აკეთებდა საქმეს. ე. ა.-მ ადვოკატს გადასცა საქმის მასალები და სესხზე დარიცხული პროცენტების გადახდის ხელწერილების დედნები.

1.5 ე. ა. საჩივარში მიუთითებს, რომ იპოთეკარ ნ. პ.-ის წარმომადგენელმა, ზ. გ.-მ სასამართლოში რამოდენიმეჯერ შეიტანა სარჩელი. ზოგიერთი სარჩელი წარმოებაში არ იქნა მიღებული, ხოლო ზოგიერთი თავად გამოიხმო. იპოთეკარმა ნ. პ.-მ იმ დროს მოქმედი წესით, პოლიციის მეშვეობით გამოასახლა სახლიდან ე. ა., თუმცა მეორე იპოთეკარისთვის, ბ. ს.-სთვის თანხის გადახდით და სახლის წილის უკან გადაფორმებით შეძლო სახლში შესვლა. ე. ა. აღნიშნავს, რომ ასეთ ვითარებაშიც დ. თ. არაფრით დაეხმარა.

1.6 ე. ა.-ს განმარტებით, 2018 წლის 6 თებერვალს მიიღო სქელი კონვერტი და როგორც ადვოკატ დ. თ.-სთან იყო შეთანხმებული იმავე დღეს მიუტანა მას გაუხსნელ მდგომარეობაში. საპროცესო სხდომაზე საჩივრის ავტორმა დამატებით განმარტა, რომ აღნიშნულ კონვერტში არსებული დოკუმენტაცია ადვოკატს გაუგზავნა ელექტრონული საშუალებითაც, მეგობრის ოფისიდან. ე. ა.-მ განმარტა, რომ ადვოკატმა დ. თ.-მ არც გახსნა კონვერტი და როდესაც წაიკითხა გამომგზავნის ვინაობა თქვა: „წაიღო ტვინი ამ ზ.-მ თავისი უაზრო სარჩელებით“, რის შემდეგაც დააწყნარა ე. ა., უთხრა რომ არანაირი საფრთხე არ ემუქრებოდა და ამ საქმეს თავად მიხედავდა. გარკვეული ხნის შემდეგ, ე. ა.-მ სასამართლოდან კვლავ მიიღო წერილი და

ისიც გაუხსნელ მდგომარეობაში გადასცა ადვოკატ დ. თ.-ს, რომელსაც წერილი ამჯერადაც არ გაუხსნია. ამ ფაქტის გასვლიდან დაახლოებით 2 თვის შემდეგ ე. ა.-მ მიიღო წერილი აღმასრულებლისგან. მეგობარმა ე. ა.-ს განუმარტა წერილის შინაარსი, რომლის მიხედვით მას აღმასრულების მიცემული წინადადების თანახმად სააღსრულებო ფურცლის ნებაყოფლობით შესასრულებლად ჰქონდა 7 დღის ვადა. ამავე მეგობარმა ე. ა.-ს უთხრა, რომ ნ. პ.-ის სარჩელზე შესაგებლის წარუდგენლობის გამო სასამართლოს მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ნ. პ.-ის სარჩელი, გაუქმდა საზიარო უფლება, დადგინდა სახლის გასხვისება აუქციონზე და მისი ღირებულების მხარეებს შორის განაწილება. ე. ა.-მ მიმართა ადვოკატს, რომ აეხსნა ეს ყველაფერი, თუმცა ადვოკატმა განუმარტა, რომ აზრი არ ჰქონდა შესაგებლის შეტანას ან გადაწყვეტილების გასაჩივრებას, ვინაიდან წამგებიანი პოზიცია ჰქონდათ. საპროცესო სხდომაზე საჩივრის ავტორმა დამატებით განმარტა, რომ ადვოკატმა დ. თ.-მ უთხრა, რომ მოენახა თანხები და აუქციონში თავადაც მიეღო მონაწილეობა, თუმცა ე. ა. არ იყო მზად მონაწილეობის მისაღებად. ამის შემდეგ კვლავ მივიდა ე. ა. დ. თ.-სთან და სთხოვა დაეწერათ აღსრულების ეროვნულ ბიუროში განცხადება მეორე მხარესთან შეხვედრისა და მოლაპარაკების მიზნით. ადვოკატმა განუმარტა, რომ მათ შორის ურთიერთობა დამთავრდა და თუ სურდა მისი გაგრძელება უნდა გადაეხადა 200 აშშ დოლარი. საჩივრის ავტორმა ადვოკატს გადასცა აღნიშნული თანხა, თუმცა მოლაპარაკება არ შედგა და ადვოკატმა უთხრა, რომ არაფერი ეშველებოდა. სახლის რეალიზაციის შემდეგ ქონება შეისყიდა იპოთეკარმა ნ. პ.-მ. ადვოკატმა ამაზე განუმარტა, რომ კარგ თანხად გაიყიდა ქონება და შეეძლო მშვიდად ყოფილიყო.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა მას არ აუხსნა, თუ რატომ მოხდა მთლიანი სახლის აუქციონზე გატანა, როცა შეიძლებოდა სახლის გამიჯვნა და მხოლოდ ნაწილის გატანა. ასევე ადვოკატმა არ აუხსნა მას, რომ შეეძლო აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე თანხის განთავსებით სააღსრულებო პროცედურების შეჩერება. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა ასევე არ გაასაჩივრა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და არ დაეხმარა აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში.

1.8 საპროცესო სხდომაზე ე. ა.-ს წარმომადგენელმა, მ. ნ.-მ აღნიშნა, რომ სასამართლომ არ მიიღო წარმოებაში მიუღებელი შემოსავლის თაობაზე დ. თ.-ის მიერ შედგენილი სარჩელი, ხოლო მეორე საქმეზე, სადაც დავა ეხებოდა საზიარო უფლების გაუქმებას, დ. თ.-მ შეიტანა შესაგებელი, თუმცა მოსარჩელემ უკან გაითხოვა სარჩელი, ამ ყველაფრის გათვალისწინებით ადვოკატი დ. თ. საქმეს მოგებულად მიიჩნევს.

1.9 საჩივრის ავტორის გამარტებით, როდესაც მიმართა დ. თ.-ს მასზე გაცემული მინდობილობის გაუქმებისა და მასზე გადაცემული საქმის მასალების დაბრუნების მოთხოვნით, ადვოკატმა განუცხადა, რომ სხვა ოფისში გადასვლისას დაკარგა მისი საქმის დოკუმენტები.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა წარმოდგენილ ახსნა-განმარტებაში მიუთითა, რომ 2015-2018 წლებში საჩივრის ავტორს, ე. ა.-ს გაუწია სამართლებრივი მომსახურება, რაც მოიცავდა: უფასო იურიდიულ კონსულტაციას; მიუღებელი შემოსავლის სახით დამდგარი ზიანის ანაზღაურების

მოთხოვნით თბილისის საქალაქო სასამართლოში აღძრულ სამოქალაქო საქმეზე მოპასუხის ინტერესების დაცვას; სანოტარო აქტში ცვლილებების შეტანის და უძრავი ნივთის საკუთრების სარეგისტრაციო მონაცემების დაზუსტების მოთხოვნით აღძრულ სამოქალაქო საქმეზე მოპასუხის ინტერესების დაცვას; საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნით თბილისის საქალაქო სასამართლოში აღძრულ სამოქალაქო საქმეზე მოპასუხის ინტერესების დაცვას; ე. ა.-ს წარმომადგენლობას სააღსრულებო წარმოებაში.

2.2 2018 წლის 31 ოქტომბერს ადვოკატი დ. თ. გამოცხადდა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე და განმარტა, რომ ე. ა.-მ 2015 წელს სხვისი რეკომენდაციით მიმართა მას და აუხსნა, რომ ჰქონდა ვალები, ვერ ახერხებდა მათ გადახდას და ამის გამო ის გამოსახლებული იყო მისი ფართიდან. ე. ა.-მ აუხსნა საქმის დეტალები, რომ ქონების 1/2 ფლობდა იპოთეკარი ნ. პ., ხოლო 1/2 გ. ც., რომელსაც ქონების სანაცვლოდ იპოთეკარ, ბ. ს.-სთვის ჰქონდა გადახდილი 15 000 აშშ დოლარი. ადვოკატმა ე. ა.-ს განუმარტა, რომ ეს თანხა უნდა გადაეხადა გ. ც.-სთვის რომ ქონების ნაწილი მისგან დაებრუნებინა და დანარჩენი თანხა ქონების ღირებულების შესაბამისად უნდა გადაეხადა ნ. პ.-ისთვის, შემდეგ კი ნებისმიერ დროს შეეძლო მოეთხოვა საცხოვრებელი ბინაზე საზიარო უფლების გაყოფა. ხოლო, იმ შემთხვევაში თუ სასამართლო დადგენდა რომ საზიარო უფლების გაყოფა შეუძლებელი იქნებოდა ის შეძლებდა ქონების რეალიზაციას აუქციონზე. ე. ა.-მ ადვოკატს აუხსნა, რომ მისი მთავარი მიზანი იყო დროის მოგება, თანხის მოძიების მიზნით და ქონებას აუქციონზე თავად შეიძენდა. საჩივრის ავტორი ადვოკატთან კონსულტაციის შემდეგ გახარებული წავიდა. ე. ა.-მ ადვოკატთან კონსულტაციის შემდეგ სადაო ქონების ½ ნაწილი შეიძინა 15 000 აშშ დოლარად, რის გამოც მადლიერი იყო.

2.3 ადვოკატი ასევე განმარტავს, რომ ე. ა.-სთვის ცნობილი იყო სასამართლოში საქმის წარმოებისას მომსახურების საფასური, რომლის მინიმალური ანაზღაურება 500 აშშ დოლარს შეადგენდა. თანხა მოიცავდა ყველა აუცილებელი საპროცესო მოქმედებების განხორციელებას, მათ შორის ნებისმიერი დოკუმენტაციის მომზადებას სამ სამოქალაქო საქმეზე. მხარეებს შორის შეთანხმებით, ე. ა.-ს წინასწარ უნდა გადაეხადა ჰონორარი (ხუთას-ხუთასი), თუმცა მას თანხები დროულად არც ერთხელ არ გადაუხდია.

2.4 ადვოკატი ახსნა-განმარტებაში მიუთითებს, რომ ნ. პ.-მ პირველად სარჩელი აღძრა მიუღებელი შემოსავლის სახით დამდგარი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, რაზედაც უარი ეთქვა დაუსწრებელი გადაწყვეტილებით. ამის შემდეგ მოითხოვა სანოტარო აქტში ცვლილებების შეტანა და უძრავი ნივთის საკუთრების სარეგისტრაციო მონაცემების „დაზუსტება“ მისი საკუთრების წილის 4/5 ოდენობით განსაზღვრით. ადვოკატის განმარტებით, მან წარადგინა შესაგებელი, რის შემდეგაც სასამართლო სხდომაზე მოსარჩელემ გაიხმო სარჩელი. იგივე განმეორდა მესამე სასარჩელო წარმოებისას, როდესაც მოთხოვნას წარმოადგენდა ბინაზე საზიარო უფლების გაუქმება. საპროცესო სხდომაზე ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ მოსამზადებელ სხდომაზე მან მოსამართლეს მიუთითა, რომ მოსარჩელეს არასწორად ჰქონდა ბაჟი გადახდილი და სარჩელზე უარის შემთხვევაში

სასამართლოს მისთვის უნდა დაეკისრა შესაბამისი თანხა რაც იყო 3000 ლარი. ამის შემდეგ მოსარჩელემ სარჩელი გაიხმო.

2.5 ადვოკატი უარყოფს ე. ა.-ს მიერ საჩივარში მითითებულ გარემოებას სარჩელის მასთან მიტანისა და გადაცემის თაობაზე. ადვოკატი აღნიშნავს, რომ ამ სარჩელის თაობაზე მისთვის არავის უცნობებია და მათ შორის არავითარი შეთანხმება არ არსებობდა. ამასთან, არც მინდობილობა გააჩნდა, რაც აუცილებელი იქნებოდა შესაგებლის სასამართლოში შეტანისა და წარმომადგენლობის განსახორციელებლად. ადვოკატი აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორს სამივე საქმეზე ცალ-ცალკე მინდობილობები ჰქონდა გაცემული და სამივე საქმეზე ცალ-ცალკე იყო შეთანხმება განხორციელებული.

2.6 ადვოკატმა საპროცესო სხდომაზე ასევე განმარტა, რომ მესამე სარჩელზე საქმის წარმოების დასრულების შემდეგ ე. ა. ნახა 2018 წლის გაზაფხულზე, როდესაც ის მივიდა მასთან ოფისში და დაჟინებული თხოვნის შედეგად დაითანხმა დაუსწრებელი გადაწყვეტილების აღსრულების გამო დაწყებულ სააღსრულებო წარმოებაში მის წარმომადგენლობაზე. ე. ა.-მ 2018 წლის 14 მაისს ადვოკატს გადასცა 200 (ორასი) აშშ დოლარი და მინდობილობა კონკრეტულად ამ საქმისთვის, რაც ადვოკატმა წარუდგინა აღმასრულებელს და მორიგების მიზნით განცხადებით მიმართა აღსრულების ეროვნულ ბიუროში მოქმედ მხარეთა ურთიერთობის სამსახურს. საბოლოოდ მხარეთა შორის მორიგება ვერ შედგა და ქონება აუქციონზე გაიყიდა საკმაოდ კარგ ფასად - 191 250 ლარად. ადვოკატმა ბინის რეალიზაციის თანხა სასიამოვნო სიურპიზად მიიჩნია, რაც უთხრა კიდეც მარწმუნებელს. ხოლო, ე. ა.-ს ადვოკატთან ვიზიტისას არავითარი პრეტენზია არ დაუფიქსირებია.

2.7 ადვოკატი ადასტურებს, რომ ე. ა.-სგან საერთო ჯამში მიიღებული აქვს 1700 (ათას შვიდასი) აშშ დოლარი.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი დ. თ. არის ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი #/, სპეციალიზაცია – საერთო.

3.2 ე. ა.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 5 ოქტომბერს.

3.3 სადაო ქმედება განხორციელდა 2015-2018 წლებში. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32–ე მუხლის მე–2 პუნქტის საფუძველზე, არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ დ. თ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და

დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების“ 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიები გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა სასამართლოში არ წარადგინა შესაგებელი, რის გამოც სასამართლომ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება; ადვოკატმა მას არ გაუწია კვალიფიციური კონსულტაცია, კერძოდ არ აუხსნა, თუ რატომ მოხდა მთლიანი სახლის აუქციონზე გატანა, როცა შეიძლებოდა სახლის გამიჯვნა და მხოლოდ ნაწილის გატანა; ადვოკატმა არ აუხსნა მას, რომ შეეძლო აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე თანხის განთავსებით სააღსრულებო პროცედურების შეჩერება; ადვოკატმა არ გაასაჩივრა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და არ დაეხმარა აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში.

5.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ დ. თ.-ის მიერ შემდეგი ნორმების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5.1 მუხლი: ,,ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“.
>
> ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5 მუხლი: „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა“.

5.3 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებისა და მინიჭებული რწმუნების საფუძველზე იმოქმედოს კლიენტის ინტერესების დასაცავად, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობათა შესაბამისად. რაც გულისხმობს საქმის წარმოების პროცესში კლიენტისთვის კვალიფიციური რჩევის მიცემას და კლიენტის ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად, მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, შესაბამისი მოქმედებების განხორციელებას.

5.4 ეთიკის კომისიამ 2010 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში, საქმეზე #066/10 განმარტა, რომ „საადვოკატო საქმიანობა, ადვოკატის მოვალეობები და კლიენტის ინტერესების დაცვა არ მოიცავს მხოლოდ კლიენტის ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ადვოკატი ვალდებულია გამოიყენოს მის დასაცავად ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით“.

5.5 ადვოკატი უარყოფს ე. ა.-ს პრეტენზიებს და აღნიშნავს, საჩივრის ავტორს გაუწია სრული სამართლებრივი მომსახურება, რაც მოიცავდა: უფასო იურიდიულ კონსულტაციას; თბილისის საქალაქო სასამართლოში აღძრულ სამ სხვადასხვა სარჩელზე მისი ინტერესების დაცვას და ე. ა.-ს წარმომადგენლობას სააღსრულებო წარმოებაში.

5.6 ადვოკატი დ. თ. წარმოადგენდა ე. ა.-ს ინტერესებს სამოქალაქო საქმეებზე: N2/16XXX-XX (დავის საგანი: სანოტარო აქტში შესწორებების შეტანა და უძრავი ნივთის საკუთრების სარეგისტრაციო მონაცემების დაზუსტება); N2/75XX-XX (დავის საგანი: საზიარო უფლების გაუქმება) და N2/13XXX-XX (დავის საგანი: მიუღებელი შემოსავლის სახით დამდგარი ზიანის ანაზღაურება). აღნიშნული დასტურდება საქმეში წარმოდგენილი შემდეგი მტკიცებულებებით: შესაგებელი სამოქალაქო საქმეზე N2/13XXX-XX, სადაც მოპასუხედ მითითებულია ე. ა., მოპასუხის წარმომადგენლად დ. თ. - შესაგებელი მომზადებულია 2015 წლის 13 აგვისტოს; შესაგებელი სამოქალაქო საქმეზე N2/16XXX-XX, სადაც ასევე მოპასუხის გრაფაში მითითებულია ე. ა., ხოლო მოპასუხის წარმომადგენლის გრაფაში დ. თ. - შესაგებელი მომზადებულია 2015 წლის 04 სექტემბერს; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 27 იანვრის განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების თაობაზე საქმეზე N2/16XXX-XX, სადაც მოპასუხე ე. ა.-ს წარმომადგენლად მითითებულია დ. თ., თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 27 მარტის საოქმო განჩინება საქმეზე N2/75XX-XX, სადაც ე. ა.-ს წარმომადგენლად კვლავ მითითებულია დ. თ..

5.7 საჩივრის ავტორისა და ადვოკატის განმარტებებით ირკვევა, რომ დ. თ.-ს მონაწილეობა არ მიუღია სამოქალაქო დავაში N2/17XX-XX-ში, სადაც თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებით შესაგებლის წარუდგენლობის გამო მიღებული იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და გაუქმდა საზიარო უფლება ე. ა.-სა და იპოთეკარ ნ. პ.-ის თანასაკუთრებაში არსებულ ფართზე მისი გაყიდვით და ამონაგების მათ შორის გაყოფის გზით. საჩივრის ავტორის პრეტენზიით ადვოკატმა არ ნახა ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი სარჩელი და ასევე არ გახსნა დალუქული სახით გადაცემული სარჩელი, რის გამოც როგორც საჩივრის ავტორს, ასევე ადვოკატს არ ჰქონდათ ინფორმაცია სასამართლოში მიმდინარე დავაზე. ადვოკატი უარყოფს საჩივრის ავტორის მითითებას და აღნიშნავს, რომ მისთვის ე. ა.-ს არ მიუტანია სარჩელი და არც მინდობილობა გააჩნდა, რაც აუცილებელი იქნებოდა შესაგებლის სასამართლოში შეტანისა და წარმომადგენლობის განსახორციელებლად. ამასთან, ე. ა. სასამართლოში თითოეული საქმის წარმოებისთვის გადასცემდა მინდობილობას და თანხას 500 აშშ დოლარს.

5.8 საპროცესო კოლეგია გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს მხარეთა პოზიციებიდან და მათ მიერ წარმოდგენილი საქმის მასალებიდან გამომდინარე. მოცემულ შემთხვევაში საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არ დგინდება ადვოკატ დ. თ.-ისთვის სარჩელის გადაგზავნის ფაქტი, ვინაიდან საჩივრის ავტორს მტკიცების ტვირთის ფარგლებში არ წარმოუდგენია ელექტრონული გზავნილის დამადასტურებელი მტკიცებულება, ასევე მხარეთა ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებებით არ დასტურდება ადვოკატისთვის სარჩელის გადაცემის ფაქტი. აღსანიშნავია ისიც, რომ ე. ა.-მ დ. თ.-ის სახელზე მინდობილობა გასცა 2018 წლის 14 მაისს, აღსრულების ეროვნულ ბიუროში თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 15 მარტის გადაწყვეტილების (საქმე N2/17XX-XX) აღსრულების პროცედურებში მონაწილეობის მისაღებად. დისციპლინურ საქმეში კი არ არის

წარმოდგენილი სხვა მინდობილობა, რომელიც დაადასტურებდა ე. ა.-ს მიერ დ. თ.-სთვის წარმომდგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების ფაქტს სასამართლოში მიმდინარე N2/17XX საქმეზე, რომელზეც გამოვიდა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ასევე, დ. თ. ვერ მიიღებდა მონაწილეობას დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცედურებში, ვინაიდან გასაჩივრებისთვის დადგენილი ვადა მინდობილობის გაცემის მომენტისათვის გასული იყო. კოლეგია ასევე ამახვილებს ყურადღებას იმ ფაქტზეც, რომ საჩივრის ავტორისა და ადვოკატის განმარტებით სასამართლოში თითოეული საქმის წარმოებისთვის ადვოკატი იღებდა 500 აშშ დოლარს, ხოლო სააღსრულებო წარმოებისთვის ადვოკატმა აიღო 200 აშშ დოლარი, მხარეებმა ასევე დაადასტურეს, რომ ადვოკატისთვის მთლიანად 1700 აშშ დოლარის გადაცემა მოხდა, რაც გულისხმობს იმას, რომ ადვოკატმა 1700 აშშ დოლარი აიღო სასამართლოში მიმდინარე სამ საქმეზე საწარმოებლად და აღსრულების პროცედურებში მონაწილეობის მისაღებად. ზემოთ აღნიშნული გარემოებები მიუთითებს იმას, რომ ე. ა.-ს წინააღმდეგ დაწყებულ მეოთხე დავაში დ. თ.-ის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის არ მომხდარა შეთანხმება. შესაბამისად, საჩივრის ავტორის პრეტენზია - ადვოკატის ბრალეულობით გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების თაობაზე არ დასტურდება.

5.9 მხარეებმა ასევე ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიცია წარმოადგინეს ადვოკატის მიერ არაკვალიფიციური კონსულტაციის გაწევის თაობაზე. საჩივრის ავტორს, გარდა განმარტებისა, კომისიისათვის არ მოუწოდებია რაიმე სახის მტკიცებულება, რომელიც საკმარისი იქნებოდა დასაბუთებული ვარაუდის შესაქმნელად, რომ ადვოკატმა მას არ აუხსნა, თუ რატომ მოხდა მთლიანი სახლის აუქციონზე გატანა და არ განუმარტა აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე თანხის განთავსების შემთხვევაში სააღსრულებო პროცედურების შეჩერების თაობაზე. შესაბამისად, საპროცესო კოლეგია ვერ ადგენს ადვოკატის მიერ არაკვალიფიციური კონსულტაციის გაწევის ფაქტს, ამასთან ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის კონსულტაციის მართებულობის შეფასება.

5.10 საჩივრის ავტორის პრეტენზიას, რომლის მიხედვით ადვოკატი არ დაეხმარა გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში, აქარწყლებს საქმეში წარმოდგენილი 2018 წლის 25 მაისის განცხადება, რომლითაც დ. თ.-მ აღსრულების ეროვნულ ბიუროს მიმართა ე. ა.-სა და მის მოვალეს შორის მორიგების მიღწევის მიზნით. შესაბამისად, ადვოკატმა მონაწილეობა მიიღო აღსრულების ეროვნულ ბიუროში სააღსრულებო პროცედურების მიმდინარეობისას.

5.11 ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს საკმარისი ვარაუდი ადვოკატის მიერ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5.ა მუხლის და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5 მუხლის დარღვევის თაობაზე. ვინაიდან, დ. თ.-მ მინდობილობის საფუძველზე დაიცვა საჩივრის ავტორის ინტერესები სასამართლოში და აღსრულების ეროვნულ ბიუროში, ხოლო საჩივრის ავტორის პრეტენზიები უკავშირდება იმ საქმეს სადაც ადვოკატს არ ჰქონდა მინიჭებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ დ. თ.-ის მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-33-ე მუხლებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-4 მუხლის მე-6 პუნქტით, 27-ე მუხლით, 30-ე მუხლის მე-2 პუნქტით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №142/18 ადვოკატ დ. თ.-ის მიმართ /სიითი № არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/